საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2007-03
31/07/2020

„2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფარგლებში ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ივლისის N1982-03 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, სან-დიეგოს უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ჰალილ გიუვენის 2020 წლის 2 ივლისის SDSU 154-07-2020 (უნივერსიტეტში რეგისტრირებული: N5958-03, 02.07.2020) წერილის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფარგლებში ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ივლისის N1982-03 ბრძანებაში დაემატოს 1^1 და 1^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„1^1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე შიდა მობილობა გამოცხადდეს ერთ ვაკანტურ ადგილზე;

1^2. 1^1 პუნქტით განსაზღვრულ პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლა შეუძლიათ მხოლოდ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს.“

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების

სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი